ჩანაწერი ლტოლვილის სტატუსის გაუქმების შესახებ

სარჩევი

I. შესავალი 2

II. ზოგადი საკითხები და სამართლებრივი პრინციპები 3

ა. ზოგადი საკითხები 3

ბ. ზოგადი სამართლებრივი პრინციპები 4

გ. გაუქმების პროცედურის დაწყება 6

III. ლტოლვილის სტატუსის გაუქმების საფუძვლები 7

ა. ლტოლვილის სტატუსის გაუქმებისთვის საჭირო არსებითი კრიტერიუმები .. 7

ბ. საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გაუქმების კრიტერიუმები 9

განმცხადებლის ტყუილი 9

განმცხადებლის მხრიდან სხვა არასწორი ქმედება 11

გაუქმება დამდგენი ორგანოს შეცდომის საფუძველზე 11

IV. მტკიცებულებითი მოთხოვნები 12

ა. გაუქმების საფუძვლის არსებობის დასადგენად საჭირო მტკიცებულება 12

ბ. მტკიცების ტვირთი და სტანდარტი 14

გ. მტკიცებულებასთან დაკავშირებული სხვა კითხვები 14

V. გაუქმება - დისკრეცია თუ სავალდებულო? 15

VI. პროცედურული საკითხები 16

VII. გავლენა და შედეგი 17

დაცვის პოლიტიკისა და სამართლებრივი რჩევის განყოფილება,
საერთაშორისო დაცვის დეპარტამენტი,
ჟენევა, 22 ნოემბერი, 2004

I. <u>შესავალი</u>

1. შესაბამისი სამართლებრივი პრინციპებითა და სტანდარტებით პირმა, რომლის ლტოლვილის სტატუსის აღიარება მოხდა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციისა და მისი 1967 წლის ოქმის (შემდგომში "1951 წლის კონვენცია") შესაბამისად ან/და გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის მიერ დადგენილია "მანდატის ლტოლვილად", რიგი გარემოებების არსებობის შემთხვევაში შესაძლოა ლტოლვილის სტატუსი დაკარგოს. გამოყოფილი უნდა იყოს შემდეგი სამი კატეგორია:
   (i) **გაუქმება**: გადაწყვეტილება, რომელიც არავალიდურს ხდის ლტოლვილის სტატუსის აღიარებას, რომელიც არ უნდა ყოფილიყო მინიჭებული პირველ რიგში. გაუქმება გავლენას ახდენს დადგენაზე, რომელიც იყო საბოლოო, რაც ნიშავს, რომ ის აღარ ექვემდებარება გასაჩივრებას ან გადახედვას. ის ლტოლვილის სტატუსს ანულირებულსა და ბათილს ხდის პირველადი დადგენის თარიღიდან (იმთავითვე *(ab initio)* ან იმ მომენტიდან *(ex tunc)*).[1]
   (ii) **ჩამორთმევა** - ლტოლვილის სტატუსის უკან გატანა იმ სიტუაციებში, როდესაც ლტოლვილად აღიარების შემდეგ პირი კავდება 1951 წლის კონვენციის 1F(ა) ან 1F(გ) მუხლების ფარგლებში მოქცეული მოქმედებებით. მას აქვს სამომავლო ეფექტი (იმ დღიდან *(ex nunc)).*[2]
   (iii) **შეწყვეტა** - ლტოლვილის სტატუსის დასრულება 1951 წლის კონვენციის 1C მუხლის შესაბამისად, რადგან საერთაშორისო დაცვა აღარ არის საჭირო ან გამართლებული პირის მიერ ნებაყოფლობით განხორციელებული რიგი მოქმედებების ან წარმოშობის ქვეყანაში გაბატონებული სიტუაციის ფუნდამენტური ცვლილებების გამო. შეწყვეტას აქვს სამომავლო ეფექტი (*ამ მომენტიდან (ex nunc)*).[3]

---

[1] იხილეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, *ლტოლვილის სტატუსის დადგენის პროცედურებისა და კრიტერიუმების სახელმძღვანელო,* 1979, განმეორებით რედაქტირებული 1992 წლის იანვარში (შემდგომში "გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სახელმძღვანელო"), პარაგრაფი 117. ასევე იხილეთ ს. კაპფერერ, *ლტოლვილის სტატუსის გაუქმება,* გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სამართლებრივი და დაცვის პოლიტიკის კვლევის გამოცემები, საერთაშორისო დაცვის დეპარტამენტი, PPLA/2003/02, მარტი 2003.

[2] იხილეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, "საერთაშორისო დაცვის სახელმძღვანელო პრინციპები: გამორიცხვის დებულების გამოყენება: ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლი", HCR/GIP03/05, 4 სექტემბერი 2003 (შემდგომში "გამორიცხვის სახელმძღვანელო პრინციპები"), და თანმხლები "ზოგადი შენიშვნა გამორიცხვის დებულებების გამოყენების შესახებ" (შემდგომში "ზოგადი შენიშვნა გამორიცხვის შესახებ"), განსაკუთრებით ამ უკანასკნელის მე-11 და მე-17 პარაგრაფები.

[3] იხილეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, "სახელმძღვანელო პრინციპები საერთაშორისო დაცვის შესახებ: ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტა ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1C(5) და (6) მუხლის შესაბამისად ('შეწყვეტილი გარემოებების' შესახებ დებულებები)", HCR/GIP/0303, 10 თებერვალი 2003; გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, "შეწყვეტის დებულებები: მათი გამოყენების სახელმძღვანელო პრინციპები", 26 აპრილი 1999; გაეროს ლტოლვილტა უმაღლესი

2. ლტოლვილის საერთაშორისო დაცვის დასრულების ზემოთ ჩამოთვლილი საფუძვლები არ უნდა იყოს არეული 1951 წლის კონვენციის 32-ე მუხლში მოცემულ გაძევებასთან და არც *არგაძევებისგან* დაცვის დაკარგვასთან 33(2) მუხლის შესაბამისად. არც ერთი მათგანი გულისხმობს ლტოლვილის სტატუსის დაკარგვას იმ პირის მიერ, რომელიც პირველადი დადგენის დროს აკმაყოფილებდა 1951 წლის კონვენციის დადგენის კრიტერიუმებს.[4]

3. ეს ჩანაწერი წარმოადგენს 1951 წლის კონვენციის შესაბამისად მინიჭებული ლტოლვილის სტატუსის გაუქმებისთვის სამართლებრივ პარამეტრებს. ამ დოკუმენტში ცნებები "გაუქმება" და "ჩამორთმევა" გამოყენებულია ზემოთ პირველ პარაგრაფში მოცემული განმარტების შესაბამისად. ლტოლვილის სტატუსის შეწყვეტის პირობები და კრიტერიუმები მოცემულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის შეწყვეტის სახელმძღვანელო პრინციპებში[5] და ჩამორთმევის შესახებ - გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის შეწყვეტის სახელმძღვანელო პრინციპებში[6].

II. ზოგადი საკითხები და სამართლებრივი პრინციპები

ა. ზოგადი საკითხები

4. გაუქმების საკითხი წარმოიშვება მაშინ, როდესაც არსებობს იმის გათვალისწინების საფუძვლები, რომ 1951 წლის კონვენციის შესაბამისად ლტოლვილად აღიარებულ პირს არ უნდა ჰქონოდა ასეთი სტატუსი მინიჭებული.ეს ის შემთხვევაა, როდესაც არსებობს მინიშნებები, რომ პირველადი გადაწყვეტილების დროს განმცხადებელმა არ დააკმაყოფილა 1951 წლის კონვენციის დადგენის კრიტერიუმები, ან რომ მასზე უნდა გავრცელებულიყო კონვენციის გამორიცხვის დებულება.[7]

5. პირებს, რომლებსაც არ ეკუთვნოდათ საერთაშორისო დაცვა ლტოლვილად აღიარების დროს, არ შეუძლიათ იდავონ, რომ მათი მდგომარეობა დამძიმდა იმ სტატუსის გაუქმებით, რომელიც

კომისარიატი, "შენიშვნა შეწყვეტის დებულებების შესახებ", 30 მაისი 1997; გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, "1951 წლის კონვენციაში 'შეწყვეტილი გარემოებების' შეწყვეტის დებულებების გამოყენების შესახებ განხილვის ჩანაწერი", 20 დეკემბერი 1991.

[4] ასევე იხილეთ გამორიცხვის შესახებ ზოგადი შენიშვნა, ზემოთ მოცემული მე-2 კომენტარი, პარაგრაფი 10.

[5] იხილეთ მე-3 კომენტარი ზემოთ

[6] იხილეთ მე-2 კომენტარი ზემოთ

[7] იხილეთ ქვემოთ მე-15-მე-16 პარაგრაფებში.

მათთვის არ უნდა ყოფილიყო მინიჭებული პირველ რიგში. 1951 წლის კონვენციის მიზანი არ არის საერთაშორისო დაცვის გავრცელება იმ პირებზე, რომლებიც მას არ საჭიროებენ, ან საერთოდ არ იმსახურებენ. აღიარების მცდარი აქტი უნდა იყოს გამოსწორებული, რათა შენარჩუნებული იყოს ლტოლვილის განმარტების მთლიანობა. ეს ხსნის თუ რატომ არის გაუქმება 1951 წლის კონვენციის მიზანთან თანხვედრაში მიუხედავად იმისა, რომ კონვენციით ეს არ არის ღიად გათვალისწინებული. თუმცა, როგორც შემდგომ ნაწილებშია ახსნილი, გაუქმება კანონიერია მხოლოდ კონკრეტული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში.

ბ. ზოგადი სამართლებრივი პრინციპები

6. ვინაიდან 1951 წლის კონვენცია და 1967 წლის ოქმი კონკრეტულად არ ეხებიან გაუქმების საკითხს, მასზე ვრცელდება სამართლის ზოგადი პრინციპები. მაშინ, როდესაც არსებობს ზოგიერთი განსხვავება დეტალებში საერთო სამართლისა და სამოქალაქო სამართლის სისტემებში და თავად ამ სისტემების შიგნითაც სხვადასხვა ქვეყანაში, გაუქმებაზე გავრცელებული სამართლებრივი კრიტერიუმები და მოთხოვნები ძალიან მსგავსია. სამართლებრივი ჩარჩო, რომელიც შეიქმნა ლტოლვილთა საერთაშორისო სამართლისა და მასზე გავრცელებული ზოგადი პრინციპების მიერ საზღვრებს უდგენს პირობებს, რომელთა მიხედვითაც ლტოლვილის სტატუსის აღიარების უკანონოდ ცნობა კანონიერია და იმავდროულად უზრუნველყოფს, რომ ისინი, ვინც აცხადებენ, რომ აქვთ დევნის საფუძვლიანი შიში 1951 წლის კონვენციის შესაბამისად, იყვნენ დაცულნი სტატუსის თვითნებური ან დისკრიმინაციული გაუქმებისგან.

7. თუ სასამართლო ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილება მცდარია, შემთხვევათა უმრავლესობაში, მიუხედავად ყველაფრისა, ის შედის ძალაში და სავალდებულო ხდება. ასეთი გადაწყვეტილებაზე საქმისწარმოების განახლების უფლება გამონაკლისია წესისთვის, რომ საბოლოო დადგენა მოქმედებს როგორც გადაწყვეტილი საქმე (*res judicata*). ეს პრინციპი, რომელიც ფართოდაა ასახული სახელმწიფოთა კანონმდებლობასა და იურისპრუდენციაში ადგენს, რომ საკითხი, რომელიც ექვემდებარებოდა სასამართლო დადგენას არ შეიძლება იყოს გახსნილი ხელახალი გამოკვლევისთვის, გარდა იმ განსაკუთრებული გარემოებებისა, რომლებიც ღიად არის წარმოდგენილი კანონში. მაშინ როდესაც გადაწყვეტილი საქმე (*res judicata*) ასევე ვრცელდება საბოლოო ადმინისტრაციულ აქტებზე, ეროვნული კანონმდებლობის ან/და სამართლის ზოგადი პრინციპების მიერ ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების

ხელახლა გახსნისთვის განსაზღვრული ზღვარი სასამართლო დადგენასთან შედარებით, როგორც წესი დაბალია. სამოქალაქო სამართლის სისტემებში, კანონის მიერ მოცემული საქმისწარმოების განახლების საფუძვლები ითვლება რომ "გარღვევას აკეთებენ" საბოლოო ადმინისტრაცული აქტების სამართლებრივ სისწორეში, რომლებიც წინააღმდეგ შემთხვევაში წინ უდგანან საქმის ხელახალ გამოკვლევას. საერთო სამართლის იურისდიქციაში, გადაწყვეტილი საქმე (*res judicata*) ასევე გულისხმობს დოქტრინას, რომ უწყების მიერ საკუთარი უფლებამოსილების მიღმა (*ultra vires*) მიღებული გადაწყვეტილება ითვლება ბათილად და ნებისმიერ დროს შეიძლება დაკარგოს ვალიდურობა. ეს შენიშვნა წარმოადგენს ადმინისტრაციული გადაწყვეტილების მეშვეობით მინიჭებული ლტოლვილის სტატუსის გაუქმების პირობებსა და კრიტერიუმებს.

8. როდესაც ხდება საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებაზე საქმისწარმოების განახლება მისი შესაძლო გაუქმებისთვის, სამართლებრივი სარწმუნობის და ლეგიტიმური მოლოდინების დაცვის, ან "შეძენილი უფლებების" ზოგადი პრინციპი უნდა იყოს კანონიერების პრინციპიდან გამომდინარე მოთხოვნებთან თანხვედრაში. ეს უკანასკნელი ადგენს, რომ გადაწყვეტილების მიმღებნი კანონით შეზღუდულები არიან და უკანონო სიტუაციები უნდა იყოს გამოსწორებული, თუმცა ეს უკანასკნელი შეიძლება ზღუდავდეს სახელმწიფოებს მცდარი ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გაუქმებისგან, თუ მათი ორგანოები არიან ამ შეცდომაზე პასუხისმგებელნი.[8] უფრო მეტიც, პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ გათვალისწინებული იყოს პიროვნებაზე მცდარი გადაწყვეტილებების ძალის დაკარგვის გავლენა.[9] ასევე ვრცელდება პროცედურული სამართლიანობის გარანტიები და დაცვის მექანიზმები.

9. საერთო ჯამში, მიუხედავად ლტოლვილის საქმის ხელახლა გახსნის მიზეზისა, ლტოლვილის სტატუსის დაკარგვა იმთავითვე (*ab initio*) შეიძლება იყოს კანონიერი, თუ არსებობს ადეკვატური მტკიცებულებებით გამყარებული გაუქმების საფუძვლები; თუ პირისთვის გაუქმების შედეგები ცხადად არ არის არაპროპორციული ან სერიოზულად დამამძიმებელი ბუნების; და თუ გაუქმების გადაწყვეტილება გაკეთებულია პროცედურული სამართლიანობის გარანტიებისა და დაცვის მექანიზმების სათანადოდ გათვალისწინებით.

[8] იხილეთ ქვემოთ 28-ე პარაგრაფი.
[9] იხილეთ ქვემოთ 29-ე პარაგრაფი.

გ. გაუქმების პროცედურის დაწყება

10. გამცემი ორგანოს მიერ, იმავე ადმინისტრაციული უწყების უფრო მაღალი დონის ორგანოს მიერ, ან სასამართლოს მიერ, საბოლოო გადაწყვეტილების გადახედვა ყოველთვის მოითხოვს სამართლებრივ საფუძველს. არსებული სამართლებრივი რეჟიმზე დაყრდნობით, ეს შეიძლება მოცემული იყოს საკანონმდებლო აქტში ან გამომდინარეობდეს ზოგადად გავრცელებული სამართლის პრინციპებიდან.

11. ლტოლვილთა შესახებ ადგილობრივი კანონმდებლობის ან მასზე გავრცელებული ადმინისტრაციული კანონის მიხედვით, ლტოლვილის სტატუსის საბოლოო გადაწყვეტილების გადახედვაზევრცელდება ვადებში შეზღუდვა, რომელიც შეიძლება მერყეობდეს გადაწყვეტილების თარიღიდან რამდენიმე თვიდან რამდენიმე წლამდე. ეს როგორც წესი, არ ვრცელდება გადაწყვეტილებებზე, რომლებიც მიღებულია მოტყუებით ან არაკანონიერი გზით, რომლის გახსნაც შესაძლებელია ნებისმიერ დროს; თუმცა, შეიძლება არსებობდნენ პროცედურული წესები, რომლებიც ზღუდავენ გადაწყვეტილების გადახედვას კონკრეტულ პერიოდამდე იმ მომენტიდან, როდესაც უწყებისთვის ცნობილი გახდა საქმის ხელახლა გამოკვლევის გამამართლებელი ელემენტების შესახებ. საბოლოო გადაწყვეტილების ხელახლა განხილვის კანონით მიერ დადგენილი კონკრეტული ვადების შეზღუდვის არარსებობის პირობებშიც კი, საკითხის წამოჭრის გაუმართლებელმა დაგვიანებამ შეიძლება შეზღუდოს უწყების მიერ გაუქმების პროცედურის გახსნის გადაწყვეტილება პროცედურული სამართლიანობის საფუძველზე მაშინ, თუ დაგვიანებამ დაამძიმა საქმე.

12. ინფორმაცია, რომელიც ეჭვის ქვეშ აყენებს ლტოლვილის სტატუსს შეიძლება, გამოიკვეთოს სხვადასხვაგვარად, დაწყებული სრული შემთხვევითობიდან, დამთავრებული ლტოლვილის შესახებ ეროვნული კანონმდებლობით განსაზღვრული სავალდებულო განმეორებითი გამოკვლევით. პრაქტიკაში, გაუქმების საკითხები ხშირად წამოიწევა მუდმივი ბინადრობის ნებართვის ან ოჯახის გაერთიანების განაცხადებში ლტოლვილის ან სხვათა მიერ გაკეთებული აშკარად წინააღმდეგობრივი განცხადებების შემთხვევაში. 1951 წლის კონვენციის 1ვ მუხლი შესაძლო გავრცელების შესახებ ინფორმაცია, ასევე, შეიძლება წამოიწიოს სისხლის სამართლებრივი გამოძიებისას ან ექსტრადიციის პროცედურებში.

13. როგორც წესი, გაუქმების პროცედურების დაწყება არ უნდა მოხდეს გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც არსებობს პირველადი დადგენის სისწორის ეჭვქვეშ დაყენების საფუძვლიანი მიზეზები.

III. ლტოლვილის სტატუსის გაუქმების საფუძვლები

14. ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გაუქმებისთვის საჭიროა იმის დადგენა, რომ გადაწყვეტილება იყო არასწორი თავისი არსით. მაშინ, როდესაც ადმინისტრაციული აქტი ეხება ლტოლვილის სტატუსის აღიარებას, არსებითობის კრიტერიუმები არიან ისინი, რომლებიც 1951 წლის კონვენციის შესაბამისად მართავენ ლტოლვილის სტატუსის დასაშვებობის საკითხს (იხილეთ ქვემოთ მე-15-მე-16 პარაგრაფები). პირობები, რომლებიც დასაშვებს ხდიან მათ გახსნას და, არსებითი ხარვეზის დადგენის შემთხვევაში, მათი ძალის დაკარგვას, განსხვავდებიან და დამოკიდებულნი არიან გარემოებებზე, რომლებმაც მიიყვანა დამდგენი ორგანო არასწორ გადაწყვეტილებამდე. შესაბამისი კრიტერიუმები შეიძლება გამომდინარეობდეს ზოგადი სამართლებრივი პრინციპებიდან და ეროვნული ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. (იხილეთ 17-29 პარაგრაფები).

ა. ლტოლვილის სტატუსის გაუქმებისთვის საჭირო არსებითი კრიტერიუმები

15. ლტოლვილის სტატუსის აღიარების გაუქმება რომ გამართლებული იყოს, უნდა დადგინდეს, რომ პირველადი გადაწყვეტილება იყო არასწორი, ვინაიდან:
    i. არ იყო დაკმაყოფილებული 1951 წლის კონვენციის 1ა(2) მუხლით განსაზღვრული **დასაშვებობის კრიტერიუმები**; [10] ან
    ii. 1951 წლის კონვენციის **გამორიცხვის დებულება** უნდა გავრცელებულიყო განმცხადებელზე, რომელიც:

[10] ლტოლვილის განმარტება, რომელიც მოცემულია 1951 წლის კონვენციის 1ა(2) მუხლში ადგენს, რომ ამ კონვენციის მიზნებისთვის ცნება "ლტოლვილი" უნდა გავრცელდეს ნებისიერ პირზე, რომელიც "[...] საფუძვლიანი შიშის გამო, რომ იგი შეიძლება გახდეს დევნის მსხვერპლი რასის, რელიგიის, აღმსარებლობის, ეროვნების, გარკვეული სოციალური ჯგუფისადმი კუთვნილების ან პოლიტიკური მრწამსის გამო, იმყოფება თავისი მოქალაქეობის ქვეყნის გარეთ და არ შეუძლია ან არ სურს ამგვარი შიშის გამო ისარგებლოს ამ ქვეყნის მფარველობით, ან არ გააჩნია რა გარკვეული მოქალაქეობა და მსგავს მოვლენათა შედეგად იმყოფება რა თავის ადრინდელი საცხოვრებელი ქვეყნის გარეთ, არ შეუძლია ან ამგვარი შიშის გამო არ სურს იქ დაბრუნება."

- **არ საჭიროებდა საერთაშორისო დაცვას,** ვინაიდან ის იღებდა დაცვას გაერთიანებული ერების სხვა ორგანოების ან სააგენტოებისგან, გარდა გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატისა (1951 წლის კონვენციის მუხლი 1დ) [11] ან ვინაიდან იმ სხვა სახელმწიფოს კომპეტენტური ორგანოების მიერ, რომელშიც ის ბინადრობდა, იგი აღიარებული იყო იმ უფლებებისა და ვალდებულებების მქონედ, რომლებიც დაკავშირებულია იმ ქვეყნის მოქალაქეობის ფლობასთან (1951 წლის კონვენციის მუხლი 1ე);[12] ან
- **არ იმსახურებს საერთაშორისო დაცვას,** ვინაიდან არსებობდა იმის ჩათვლის სერიოზული მიზეზები, რომ მან ჩაიდინა 1951 წლის კონვენციის 1ვ მუხლის ფარგლებში მოქცეული მოქმედებები.[13]

16. 1951 წლის კონვენციის გამორიცხვის დებულების საფუძველზე გაუქმება შეიძლება იყოს კანონიერი, თუ შესაბამისი დებულებების (მუხლი 1დ, 1ე ან 1ვ) ყველა ელემენტი იყო სახეზე პირველადი დადგენის დროს. პრაქტიკაში, გაუქმების საკითხი გამორიცხვის კონტექსტში ხშირად წარმოიშვება 1951 წლის კონვენციის 1ვ მუხლთან დაკავშირებით. როდესაც გაჩნდება ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს, რომ 1ვ მუხლი შესაძლოა გავრცელებულიყო სტატუსის პირველადი დადგენისას, უნდა განხორციელდეს განაცხადის ყველა ასპექტის სრული შეფასება. აუცილებელია იმის დადგენა, რომ ქმედებები, რომლებშიც განმცხადებელს ედება ბრალი, შესაბამისი სამართლებრივი სტანდარტებით აკმაყოფილებენ გამომრიცხველი ქმედებების განმარტებას და რომ არსებობს დამაჯერებელი და სანდო ინფორმაცია, რომელიც ადგენს განმცხადებლის ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას კითხვის ნიშნის ქვეშ დაყენებულ საკითხზე. და ბოლოს, პროპორციულობის პრინციპი მოითხოვს, რომ გამორიცხვის შედეგები იყოს გათვალისწინებული და მისი წონა შედარებული დანაშაულის სერიოზულობასთან.[14]

---

[11] იხილეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი, ლტოლვილთა სტატუსის შესახებ 1951 წლის კონვენციის 1D მუხლის პალესტინელ ლტოლვილებზე გავრცელების შესახებ შენიშვნა", ოქტომბერი 2002 (შემდგომ: "1D მუხლზე შენიშვნა").

[12] იხილეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის სახელმძღვანელო, ზემოთ მოცემული შენიშვნა 1, პარაგრაფები 144-146.

[13] იხილე ზოგადი შენიშვნა გამორიცხვის შესახებ, ზემოთ მოცემული მე-2 შენიშვნა, განსაკუთრებით პარაგრაფები 13-16.

[14] სამართლებრივი პრინციპებისა და სტანდარტების გამოყენება, რომლებიც მართავენ 1951 წლის კონვენციის 1F მუხლის გავრცელებას მოცემულია გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის გამორიცხვის შესახებ ზოგად შენიშვნაში, ზემოთ მოცემულ მე-2 შენიშვნაში.

ბ. საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილებების გაუქმების კრიტერიუმები

17. ეროვნული კანონმდებლობა როგორც წესი იძლევა იმ საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გაუქმების უფლებას, რომელზეც მოგვიანებით დადგინდა, რომ იყო არასწორად მიღებული. პირობები, რომლის დროსაც სახელმწიფოს შეუძლია გააუქმოს არასწორი ადმინისტრაციული გადაწყვეტილება განსხვავდება და დამოკიდებულია, იმაზე, თუ რამ გამოიწვია შეცდომა:
    i. განმცხადებლის მხრიდან არსებითმა ტყუილმა მისი ლტოვილის სტატუსის დასაშვებობის ძრეულ ასპექტებთან დაკავშირებით;
    ii. სხვა არასწორმა ქმედებამ, რომელმაც არსებითი გავლენა იქონია განმცხადებლის დასაშვებობაზე, მაგალითად მუქარა ან ქრთამი;
    iii. დამდგენი ორგანოს მიერ დაშვებულმა სამართლებრივმა ან/და ფაქტობრივმა შეცდომამ.

18. შემდეგი ნაწილი იკვლევს, როგორ ვრცელდება ეს კრიტერიუმები იმ სიტუაციებზე, სადაც ლტოლვილის სტატუსი მიენიჭა პირს, რომელიც აღიარების დროს არ აკმაყოფილებდა 1951 წლის კონვენციის დასაშვებობის კრიტერიუმებს.

განმცხადებლის ტყუილი

19. ზოგადად მიღებული პრინციპია, რომ მოტყუების გზით მიღებული ადმინისტრაციული გადაწყვეტილება არის ნაკლიანი და შეიძლება იყოს გაუქმებული ნებისმიერ დროს,. ეს ფართოდაა ასახული ლტოლვილთა შესახებ ეროვნულ კანონებში, ზოგად ადმინისტრაციულ პროცედურათა კანონმდებლობაში, იურისპრუდენციასა და დოქტრინაში, ისევე როგორც გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატის პოლიტიკის დოკუმენტებში. ასევე, ზოგადად მიღებულია, რომ მოტყუების გზით მიღებულ გადაწყვეტილებას არ შეუძლია ლეგიტიმური მოლოდინების ან მიღებული უფლებების ლეგიტიმური საფუძვლის შექმნა.
20. სადაც ტყუილი განიხილება გაუქმების საფუძვლად, სახელმწიფოთა კანონმდებლობა და იურისპრუდენცია თანმიმდევრულად მოითხოვს შემდეგი სამივე ელემენტის არსებობას:
    (ა) განმცხადებლის მხრიდან ობიექტურად არასწორ განცხადებებს;
    (ბ) მიზეზობრივ კავშირს ამ განაცხადებსა და ლტოლვილის სტატუსის დადგენას შორის; და

(გ) განმცხადებლის მიერ მოტყუების განზრახვას.

21. ქვემოთ, 30-ე-34-ე პარაგრაფებში მოცემულია ის მტკიცებულებითი მოთხოვნები, რომლებიც უნდა დააკმაყოფილოს უწყებამ, რომელიც ამტკიცებს, რომ განმცხადებლის მიერ გაკეთებული განაცხადება იყო არასწორი.

22. "მიზეზობრივი" ნიშნავს, რომ განმცხადებლის მცდარი ინტერპრეტაცია ან დაფარვა უნდა იყოს დაკავშირებული "რელევანტურ" ან "არსებით" ფაქტებთან, ანუ დადგენისთვის მნიშვნელოვანი ელემენტები. პრაქტიკაში, არასწორი განაცხადება ხშირად ეხება განმცხადებლის ვინაობას ან/და მოქალაქეობას, ან მისი გაქცევის გამომწვევ ძირითად გარემოებებს. ვინაიდან მცდარი ინტერპრეტაცია ამ ელემენტებთან დაკავშირებით მნიშვნელოვანია და წარმოქმნის საკითხებს, რომლებიც ეხება განაცხადის საერთო დამაჯერებლობას, ისინი პრინციპში გადამწყვეტი ფაქტორებია განმცხადებლის სტატუსის დადგენისთვის.

23. როდესაც დგინდება, არსებობდა თუ არა "მოტყუების განზრახვა", გადაწყვეტილების მიმღები უნდა იყოს სენსიტიური განსაკუთრებული გარემოებების მიმართ, რომლებიც თან ახლავს თავშესაფრის განაცხადებას. ტრავმული გამოცდილება, განვლილი დრო ან წარსული მოვლენების ინტენსივობა ხშირად ართულებს განმცხადებლისთვის თავისუფლად საუბრის ამოცანას და სრული ფაქტობრივი ანგარიშის გადმოცემას შეუსაბამობების ან გაურკვევლობების გარეშე. განაცხადში მცირედი გამოტოვება ან უზუსტობა, ბუნდოვანება ან სისწორის ნაკლებობა, რომელიც არაარსებითია, არ უნდა იყოს გამოყენებული განმცხადებლის სანდოობის შემლახველ გადამწყვეტ ფაქტორად; გაცილებით ნაკლებია საკმარისი "მოტყუების განზრახვის" დასადგენად. გაყალბებული დოკუმენტების გამოყენება ასევე უნდა იყოს შეფასებული საქმის გარემოებების გათვალისწინებით: ხშირ შემთხვევაში, თავშესაფრის მაძიებლებს ჭირდებათ ყალბ დოკუმენტებზე დაყრდნობა დევნისგან თავის დასაღწევად. გაყალბებული დოკუმენტების გამოყენება თავის თავში არ ხდის განაცხადს ტყუილად და ავტომატურად არასდროს უნდა იწვევდეს ლტოლვილის სტატუსის გაუქმებას, იმის გათვალისწინებით, რომ პირის ნამდვილი ვინაობა და მოქალაქეობა ცნობილია და გამოყენებული იყო აღიარების გადაწყვეტილების საფუძვლად. დამატებით უნდა აღინიშნოს, რომ გაუქმება არ ემსახურება "დასჯას" არასწორი განაცხადებისთვის.

24. გაუქმება გამორიცხვის საფუძვლის გამოყენებით ხშირად მოიცავს განმცხადებლის მხრიდან მცდარ იტერპრეტაციას ან დაფარვას. ასეთ

შემთხვევებში ლტოლვილის სტატუსი შეიძლება გაუქმდეს, თუ პირველადი გადაწყვეტილების დროს გამორიცხვის დებულების გამოყენების ყველა კრიტერიუმია სახეზე. დამდგენი უწყებისთვის არ არის აუცილებელი აჩვენოს, რომ ტყუილის ელემენტი ასევე იყო სახეზე, მიუხედავად იმისა, რომ ეს შეიძლება ნიშნავდეს, რომ ვრცელდება დროითი შეზღუდვა, რომელიც შეუძლებელს ხდის გარკვეული პერიოდის შემდეგ გადაწყვეტილების გახსნას.

განმცხადებლის მხრიდან სხვა არასწორი ქმედება

25. თუ განმცხადებელს ლტოლვილის სტატუსი მოპოვებული აქვს მსაჯულის მოქრთამვით ან დაშინებით, ეს წარმოადგენს გაუქმების საფუძველს მაშინ, თუ ასეთი საქციელი არსებითი იყო მიღებული გადაწყვეტილებისთვის და შედეგად გამოიღო ისეთი განმცხადებლის აღიარება, რომელმაც ვერ დააკმაყოფილა 1951 წლის კონვენციით განსაზღვრული დასაშვებობის კრიტერიუმები.

გაუქმება დამდგენი ორგანოს შეცდომის საფუძველზე

26. ლტოლვლის სტატუსის მინიჭება შეიძლება იყოს გადაწყვეტილების მიმღების შეცდომის შედეგი. ლტოლვილის სტატუსი შეიძლება არასწორად მიენიჭოს, თუ დამდგენი უწყება შეცდება მის წინაშე არსებული ფაქტების სამართლებრივ კვალიფიკაციაში; მაგალითად, იმის არასწორად მოაზრებით, რომ ზიანის შიში არის დევნის ფორმა ან/და ეფუძნება კონვენციის საფუძვლებს ან გამორიცხვის დებულების მოთხოვნების მცდარი ინტერპრეტაციით (სამართლებრივი შეცდომა). უწყებამ შეიძლება, ასევე, ვერ დაადგინოს საქმესთან დაკავშირებული სწორი ფაქტები, მაგალითად, ვინაიდან ის არ ატარებს სათანადო დაკითხვებს, ან არ შეუძლია ამის გაკეთება, ვინაიდან ნამდვილი ფაქტები ცნობილი ხდება გადაწყვეტილების მიღების შემდეგ (ფაქტობრივი შეცდომა).

27. იმის დადგენისას, აკმაყოფილებს თუ არა განმცხადებელი ლტოლვილის სტატუსის კრიტერიუმებს, მსაჯულები თავისუფალნი არიან გამოიკვლიონ და შეაფასონ მათ წინაშე არსებული ინფორმაცია, სასამართლო კონტროლის ფარგლებში. განაცხადთან დაკავშირებული მტკიცებულების შეფასებისას დაშვებულ შეცდომას შეუძლია, გამოიწვიოს გაუქმება. თუმცა, შეუძლებელია განმცხადებლის ლტოლვილის დაცვის დასაშვებობაზე გაკეთებული დადებითი დადგნის შეცვლა მხოლოდ იმის საფუძველზე, რომ

შეიცვალა შიშის საფუძვლიანობასთან დაკავშირებული შემდგომი შეფასება ან მოსაზრება დამაჯერებლობის შესახებ.[15]

28. ეროვნული კანონი როგორც წესი ადგენს მკაცრ პირობებს პირის სასარგებლოდ გამოტანილი საბოლოო ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გადასახედად, როდესაც შეცდომა მხოლოდ დამდგენი ორგანოს ბრალეულობით მოხდა. ხშირად, არსებობს დროითი შეზღუდვები: მას შემდეგ რაც ის გაივლის, უკანონო გადაწყვეტილებების გაუქმებაც კი არ შეიძლება. როდესაც განმცხადებელი თავის განაცხადს წარმოადგენს კეთილსინდისიერად და, შესაბამისად, ჰქონდა უფლება ნდობა გამოეცხადებინა გადაწყვეტილების სისწორისა და ვალიდურობისთვის, იურიდიული სარწმუნოობის პრინციპი და დაცვის ლეგიტიმური მოლოდინი ჩვეულებრივ გადაწონის იმ შეცდომის გამოსწორების სახელმწიფოს ინტერესს, რომელიც გადაწყვეტილების მიმღებმა ორგანოებმა დაუშვეს. ასეთ შემთხვევებში, უწყებებს შეიძლება აეკრძალოთ გადაწყვეტილების გაუქმება, ან შეიძლება მოეთხოვოთ პირის კომპენსირება.

29. ყველა ასეთ შემთხვევაზე ვრცელდება პროპორციულობის პრინციპი, რომელიც მოითხოვს მცდარი გადაწყვეტილების გამოსწორებისას საჯარო ინტერესის შედარებას პირის ინტერესთან, მისი შენარჩუნების შემთხვევაში.[16] გათვალისწინებული უნდა იყოს საქმის ყველა შესაბამისი გარემოება, მათ შორის პირის ყოფნის ხანგრძლივობა და სოციალური და ეკონომიკური ინტეგრაციის ხარისხი, ისევე როგორც გაუქმების გადაწყვეტილების შედეგად გამოწვეული შესაძლო სირთულეები. სადაც გაუქმება შესაფერისია გამორიცხვის კონტექსტში, როდესაც საქმე ეხება პროპორციულობას, პირის მიერ ჩადენილი მოქმედების სერიოზულობა მნიშვნელოვანი საკითხია.

IV. <u>მტკიცებულებითი მოთხოვნები</u>

ა. გაუქმების საფუძვლის არსებობის დასადგენად საჭირო მტკიცებულება

30. გაუქმების საფუძვლის არსებობა გამყარებული უნდა იყოს მტკიცებულებით. პრინციპში, ნებისმიერი სახის ინფორმაცია

[15] ასევე იხილეთ 33-ე პარაგრაფი.
[16] ასევე იხილეთ მე-8 პარაგრაფი.

შეიძლება იყოს გამოყენებული მტკიცებულებად ქვემოთ მოცემული პარამეტრების ფარგლებში, რაც დამოკიდებულია ეროვნულ კანონმდებლობაში არსებულ მტკიცებულების წესებზე.

31. ყველა შემთხვევაში, გაუქმების მიზნით გამოყენებული მტკიცებულება უნდა იყოს ინფორმაცია, რომელიც დაკავშირებულია პირველადი დადებითი დადგენის არსებით ელემენტებთან. ასეთი ინფორმაცია უნდა ადგენდეს უარყოფის ან გამორიცხვის საფუძვლის არსებობას განაცხადის პირველად შეფასების დროს. ეს არ უნდა იყოს აღრეული ინფორმაციასთან, რომელიც დაკავშირებულია გარემოებების მნიშვნელოვან ცვლილებასთან, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს შეწყვეტის დებულების გავრცელება ან რომელიც ეხება აღიარებული ლტოლვილის მიერ განხორციელებულ ისეთ მოქმედებებს, რომლებიც ამართლებენ შეწყვეტას, გაძევებას ან არ-გაძევებისგან დაცვის დაკარგვას.

32. ბევრ შემთხვევაში, ლტოლვილის სტატუსის მინიჭება დამოკიდებულია განმცხადებლის მიერ დევნის საფუძვლიანი შიშის შესახებ თავისი განაცხადის გასამყარებლად მოწოდებული ინფორმაციის სანდოობაზე. გაუქმება ვერასდროს იქნება გამართლებული მხოლოდ უწყების მხრიდან მოსაზრების შეცვლის გამო, რომელმაც შემდგომ გადაწყვიტა საქმესთან დაკავშირებული ფაქტების სხვა ჭრილში შეფასება. სანდოობის შეფასების ცვლილება მხოლოდ იმ შემთხვევაში გაამართლებს გაუქმებას, თუ სანდოობასთან დაკავშირებული პირველადი მიგნება განმცხადებლის ლტოლვილის სტატუსზე დასაშვებობასთან დაკავშირებული საქმის ძირეული ასპექტები ნათლად ეწინააღმდეგებოდა პირველადი დადგენის დროს საქმის ჩანაწერში მოცემულ ელემენტებს, ან შეუსაბამოა საქმის ფაქტებთან დაკავშირებით გამოჩენილ ახალ და სანდო ინფორმაციასთან, რომელიც არსებითია დადგენის სანდოობისთვის.

33. ზოგ იურისდიქციებში სახელმწიფო უწყებებს არ შეუძლიათ საბოლოო გადაწყვეტილების საქმისწარმოებაში დაბრუნებაან მისი გაუქმება იმ მტკიცებულების საფუძველზე, რომელიც მანამდე ჰქონდა გადაწყვეტილების მიმღებს, ან რომლის ქონაც უწყებას შეეძლო მაგრამ ვერ მიიღო, ვინაიდან სათანადოდ ვერ შეასრულა თავისი ფუნქცია, დაედგინა საქმესთან დაკავშირებული სწორი ფაქტები. სადაც ასეთი შეზღუდვები არსებობს, გაუქმება მოითხოვს “ახალ მტკიცებულებას”, ანუ, ინფორმაციას, რომელიც ან არ არსებობდა მანამდე ან დამდგენი უწყებისთვის არ იყო ცნობილი პირველადი გადაწყვეტილების დროს.

ბ. მტკიცების ტვირთი და სტანდარტი

34. ზოგადი პრინციპის მიხედვით, მტკიცების ტვირთი აკისრია პირს, რომელიც ამტკიცებს რამეს. გაუქმების პროცედურებში იმის ჩვენების ტვირთი, რომ ლტოლვილის სტატუსი უნდა გაუქმდეს, ჩვეულებრივ აკისრია პირველადი გადაწყვეტილების განმხილველ ორგანოს. მტკიცების ტვირთი შებრუნებულია, როდესაც არსებობს მტკიცებულება, რომლის უარყოფაც დასაშვებადაა მიჩნეული; მაგალითად, რომ მოქმედ პასპორტში მოცემული განმცხადებლის მოქალაქეობა განსხვავდება დადგენის პროცედურისას გაცხადებული მოქალაქეობისგან.

35. გაუქმებისას მოთხოვნილი მტკიცების სტანდარტი ახლოსაა დაკავშირებული ლტოლვილის სტატუსის დადგენისას მოთხოვნილ სტანდარტთან. დასაშვებობის ეტაპზე, განმცხადებლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და განცხადებებზე დაყრდნობით, მსაჯულმა უნდა გადაწყვიტოს, არის თუ არა განმცხადებლის განაცხადი სანდო. განმცხადებელს უნდა ჰქონდეს წარმოდგენილი განაცხადი, რომელიც თანმიმდევრული და დამაჯერებელია, არ ეწინააღმდეგება ზოგადად ცნობილ ფაქტებს და შესაბამისად, საერთო ჯამში შესაძლოა, რომ იყოს სარწმუნო. განმცხადებელმა ასევე უნდა აჩვენოს, რომ მისი დევნის შიში საფუძვლიანია, ანუ, გონივრულად შესაძლებელი.[17]

36. გაუქმება შეიძლება გამართლებული იყოს მხოლოდ მაშინ, თუ ხელთ არსებული (ახალი) მტკიცებულება ისეთია, ის რომ ყოფილიყო დამდგენი ორგანოს ხელში პირველადი გადაწყვეტილების მიღების დროს, შეეძლო გაემყარებინა განმცხადებლის სანდოობაზე ან/და კონვენციის შესაბამისად მისი შიშის საფუძვლიანობაზე უარყოფითი მიგნებები, ან თუ ის იქნებოდა საკმარისი 1951 წლის კონვენციაში მოცემული გამორიცხვის საფუძვლის არსებობის დასადგენად. 1ვ მუხლის შემთხვევებში უნდა არსებობდეს ნათელი და სანდო მტკიცებულება, რომელიც ამყარებს "სერიოზულ მიზეზებს იმის გასათვალისწინებლად", რომ განმცხადებელი იყო ჩართული მის ფარგლებში მოცემულ მოქმედებებში.

გ. მტკიცებულებასთან დაკავშირებული სხვა კითხვები

37. უმრავლეს ქვეყნებში გაუქმების პროცედურებზე გავრცელებული სამართლებრივი რეჟიმის მიხედვით, იმის დადგენა, სწორად იყო თუ

[17] იხილეთ გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი "შენიშვნა ლტოლვილთა განაცხადებში მტკიცების ტვირთისა და სტანდარტის შესახებ", 16 დეკემბერი 1998.

არა პირი ლტოლვილად აღიარებული დამოკიდებულია მხოლოდ იმ ინფორმაციაზე, რომელიც ჰქონდა გადაწვეტილების მიმღებს პირველადი პროცედურის დროს. გაუქმების პროცედურაში დასაშვებია მხოლოდ ის ახალი ელემენტები, რომლებიც ამყარებენ ან აქარწყლებენ ლტოლვილის სტატუსის პირველადი გადაწყვეტილების გადახედვის საფუძველს.

38. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არსებობს (ახალი) მტკიცებულება, რომელიც პირველად გადაწყვეტილებას ტოვებს საფუძვლის ნაწილის გარეშე, შეიძლება რჩებოდეს მისი გამამყარებელი სხვა ელემენტები. მაგალითად, არასწორ ინტერპრეტაციებს ან დაფარვას შეიძლება ჰქონდეს რაიმე გავლენა, მაგრამ არა სრული, განმცხადებლის მიერ მოწოდებული ინფორმაციაზე. ზოგ ქვეყნებში გავრცელებული კანონმდებლობა კონკრეტულად მოითხოვს ასეთი "დარჩენილი მტკიცებულების" გამოკვლევას. ასეთ შემთხვევაში ღიად მოცემული დებულებების გარეშეც კი უწყებამ ყოველთვის უნდა დაადგინოს, გადაწყვეტილების მიმღებს ეს ინფორმაცია რომ ჰქონოდა პირველადი დადგენის დროს, განმცხადებელი დააკმაყოფილებდა თუ არა ლტოლვილის სტატუსის დასაშვებობის პირობას. [18] ლტოლვილის სტატუსის გაუქმების გადაწყვეტილება ისეთი "დარჩენილი მტკიცებულების" არსებობის მიუხედავად, რომელიც ამყარებს პირველადი დადგენის დროს დევნის საფუძვლიან შიშს, იქნებოდა 1951 წლის კონვენციიდან გადახრა.

V. <u>გაუქმება - დისკრეცია თუ სავალდებულო?</u>

39. ლტოლვილთა ადგილობრივ კანონმდებლობასა და ზოგად ადმინისტრაციულ კანომდებლობაში, გაუქმების დებულებები ხშრად აძლევენ უწყებებს დისკრეციის საშუალებას, როგორც გაუქმების პროცედურის ინიცირების, ასევე გაუქმების გადაწყვეტილების მიღების საკითხში. უფრო სასურველია გაუქმების დებულებები, სადაც დამდგენ უწყებას უფლება აქვს და მოეთხოვება, გამოიყენოს დისკრეცია, ვინაიდან ის იძლევა თითოეული საქმის სრული შეფასების საშუალებას 1951 წლის კონვენციისა და სამართლის ზოგადი პრინციპების გათვალისწინებით.

---

[18] მაგალითად ერთ შემთხვევაში, რომელიც ეხებოდა ახლო აღმოსავლეთის ქვეყანაში დაბადებულ მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელმაც მოიტყუა დაბადების ქვეყნის შესახებ, თავშესაფრის მოთხოვნის სახელმწიფოს უწყებებმა აღმოაჩინეს, რომ პირველადი გადაწყვეტილების მიმღების ხელში არსებობდა საკმარისი მტკიცებულება იმის საჩვენებლად, რომ დაბადების ქვეყანაში მისი ეთნიკური ჯგუფის წინააღმდეგ დისკრიმინაცია უტოლდებოდა დევნას.

40. სადაც კანონი უწყებას აძლევს დისკრეციას, ამ უკანასკნელმა ის კანონიერად უნდა გამოიყენოს და შეინარჩუნოს ის დანიშნულება, რისთვისაც ის იყო მინიჭებული, ზედამხედველი ადმინისტრაციული უწყებების ან სასამართლოს კონტროლის ფარგლებში. როგორც წესი, მისი გადაწყვეტილებები ეფუძნება გონივრულობის სტანდარტს მის წინაშე არსებული მტკიცებულებებზე მითითებით. შესაბამისად, უწყებებმა ყველა შესაბამისი ფაქტის გათვალისწინებით შეიძლება გადაწყვიტონ, არ დაიწყონ გაუქმების პროცედურა (ახალი) მტკიცებულების არსებობის მიუხედავად და შეინარჩუნონ ლტოლვილის სტატუსი, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ის არ უნდა ყოფილიყო მინიჭებული პირველ რიგში. არის თუ არა ეს სათანადო გადაწყვეტილება მოცემულ სიტუაციაში დამოკიდებულია გარემოებებზე და ამის შესახებ მსჯელობა უწყებების საქმეა.

41. ზოგ ქვეყნებში, მას შემდეგ რაც დადგინდება კონკრეტული საფუძვლები - როგორც წესი ტყუილი, გაუქმება სავალდებულოა. სხვებში აღიარეულია, რომ განმცხადებლის მხრიდან ტყუილის მიუხედავად, პირს შეიძლება ჰქონდეს დევნის საფუძვლიანი შიში და მათი ლტოლვილის სტატუსი არ უნდა იყოს ავტომატურად გაუქმებული.

VI. <u>პროცედურული საკითხები</u>

42. გაუქმების პროცედურებში, პროცედურული სამართლიანობის დაცვის მექანიზმები და გარანტიები ასევე უნდა იყოს გათვალისწინებული. განსაკუთრებით ბევრი დევს სასწორზე, ვინაიდან ასეთი პროცედურები ადგენენ პირის მოთხოვნას *არ-გაძევებისგან* დაცვაზე 1951 წლის კონვენციის შესაბამისად და კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებენ მისთვის უკვე მინიჭებულ სტატუსს.

43. ქვემოთ მოცემულია მინიმალური პროცედურული მოთხოვნები:
   i. გაუქმება შეიძლება გადაწყვეტილი იყოს მხოლოდ ინდივიდუალურ საფუძველზე მაშინაც კი, როდესაც პირველადი გადაწყვეტილება მიღებული იყო დაჩქარებული პროცესის ნაწილად, რომლის დროსაც ინდივიდუალური საქმეები შეიძლება არ ყოფილიყო სრულად გამოკვლეული, ან სადაც ლტოლვილის სტატუსის მინიჭება მოხდა ჯგუფური *prima facie* მიდგომით. ისეთი მიზეზების არსებობა, რომლებიც გაუქმებას გახდიან კანონიერს და შესაბამისს, დადგენილი უნდა იყოს ყველა კონკრეტული საქმისთვის.

ii. ლტოლვილი, რომლის სტატუსიც იქნა გაუქმებული, უნდა იყოს ინფორმირებული პროცედურის ბუნებისა და გაუქმების გამამყარებელი მტკიცებულების შესახებ. მას უნდა მიეცეს შესაძლებლობა, ჩააბაროს და წარმოადგინოს მტკიცებულება, რომელიც აქარწყლებს ნებისმიერ ბრალდებას ტყუილის ან სხვა მიუღებელი საქციელის შესახებ, ან გააქარწყლოს გაუქმების ნებისმიერი სხვა საფუძველი, რომელიც უწყების მტკიცებით ვრცელდება მასზე.

iii. მოთხოვნის შემთხვევაში, თარჯიმნის დახმარება უნდა იყოს უზრუნველყოფილი.

iv. მრჩევლის დახმარება უნდა იყოს ნებადართული.

v. გაუქმების პროცედურისას ყოველთვის უნდა იყოს გასაუბრება/მოსმენა. პირს უნდა მიეცეს შესაძლებლობა გაიგოს საქმის არსი. გასაუბრების/მოსმენის შესახებ შეტყობინება უნდა იყოს მიცემული ისეთ დროს, რომ მომზადების საშუალებას იძლეოდეს. დაუსწრებლად (*in absentia*) გაუქმება უნდა მოხდეს მხოლოდ გამონაკლის გარემოებებში, თუ ყველა ღონისძიება იქნა მანამდე გატარებული პირისთვის შეტყობინების გადასაცემად.

vi. როდესაც ხდება ლტოლვილის სტატუსის გაუქმება, აუცილებელია გასაჩვრების ან გადაწყვეტილების განხილვის უფლება. გასაჩივრება ან განხილვა უნდა მოხდეს პირველადი გადაწყვეტილების მიმღებისგან განსხვავებული პირის ან სხვანაირად შედგენილი პანელის მიერ. ის უნდა იძლეოდეს გაუქმების როგორც სამართლებრივი, ასევე ფაქტობრივი საკითხების გასაჩივრების უფლებას. მას უნდა ჰქონდეს შეჩერების მოქმედება: ლტოლვილის სტატუსის შენარჩუნება უნდა მოხდეს გაუქმების საბოლოო გადაწყვეტილებამდე.

VII. <u>გავლენა და შედეგი</u>

44. გაუქმება ბათილს ხდის არასწორად დადგენილლტოლვილის სტატუსსდა მოქმედებს სტატუსის დადგენის მომენტიდან (*ab initio*). ასეთ შემთხვევაში ითვლება, რომ პირს ლტოლვილის სტატუსი არასოდესმინიჭებია: განმცხადებელი არ იყო ლტოლვილი სტატუსის პირველადი დადგენის დროს.

45. პრინციპში, ლტოლვილის სტატუსის დაკარგვა ნიშნავს, რომ ამ პირებზე ვრცელდება იგივე სამართლებრივი დებულებები, რომლებიც არეგულირებენ უცხოელთა ქვეყნის ტერიტორიაზე ყოფნას. ზოგ ქვეყნებში ლტოლვილები ასევე ფლობენ ნებართვას, რომელიც აძლევს ცხოვრების ან ყოფნის უფლებას, რომელიც ჩვეულებრივ რჩება მოქმედად, თუ ცალკე პროცედურით ისიც არ

გაუქმდება. სხვა ქვეყნებში პირები, რომელთა ლტოლვილის სტატუსი გაუქმდა, მაშინვე ექვემდებარებიან ქვეყნიდან გაყვანას. დამოკიდებულია გავრცელებად კანონზე, შეიძლება არსებობდეს დარჩენის ძიების შესაძლებლობა.

46. თუ ლტოლვილის სტატუსი გაუქმებულია, სახელმწიფომ შეიძლება პირს მიანიჭოს მის ტერიტორიაზე დარჩენის ნებართვა იმ მიზეზების გამო, რომლებიც ამართლებენ დამატებითი დაცვის ფორმას ან ჰუმანიტარულ საფუძვლებს. ეს უნდა იყოს გათვალისწინებული და შეიძლება წარმოადგენდეს სათანადო გადაწყვეტას განსაკუთრებით იმ სიტუაციებისთვის, სადაც გადაწყვეტილების მიმღებმა უწყებამ შეცდომა დაუშვა კეთილსინდისიერად წარმოდგენილი საქმის დადგენისას, ან სადაც გაუქმებამ შეიძლება სხვაგვარად გამოიწვიოს ადამიანისთვის არაპროპორციული შედეგები ან განსაკუთრებული სირთულეები. სადაც ლტოლვილის სტატუსის გაუქმებას გავლენა აქვს ბავშვებზე, სახელმწიფომ უნდა გაითვალისწინოს ასეთი დაცვის მინიჭება, თუ ის არის ბავშვის საუკეთესო ინტერესში, ბავშვის უფლებათა შესახებ 1989 წლის კონვენციით სახელმწიფოს მიერ აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. ასევე ვრცელდება დაცვის სხვა ფორმები, მათ შორის წამების ან არაადამიანური მოპყრობისას არ-გაძევების წინააღმდეგ.

47. ლტოლვილის სტატუსის გაუქმება, როგორც წესი, იწვევს მასზე მიბმული სტატუსებისკერძოდოჯახის წევრებისთვის სტატუსის გაუქმებას. ასეთ შემთხვევებში, სურვილის არსებობისას, პირებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ეძიონ თავშესაფარი და აჩვენონ, რომ ისინი უნდა იყვნენ ლტოლვილებად აღიარებულნი ცალკე.

48. ლტოლვილის სტატუსის გაუქმება არ ზღუდავს საერთაშორისო დაცვის შემდგომ მოთხოვნას. ნებისმიერი დებულება, რომელიც მიუთითებს, რომ ლტოლვილის სტატუსის გაუქმება მიუღებელს ხდის ლტოლვილის სტატუსის შემდგომ მოთხოვნას, იქნება 1951 წლის კონვენციის დარღვევა, ვინაიდან საქმეები, სადაც პირს შეიძლება ჰქონდეს დევნის საფუძვლიანი შიში გაუქმების პროცედურის დროს ან შემდგომ, არ შეიძლება ყოველთვის იყოს გამორიცხული. ასეთ მოთხოვნაზე გადაწყვეტილება უნდა მიიღოს განსხვავებულმა მსაჯულმა ან განსხვავებულად შედგენილმა პანელმა.